სახალხო გაზეთი

№ 953 პარასკევი, 26 ივლისი 1913 № 953

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქეთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელ წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 3 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტი, მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

26 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საეფექტო წარმოდგენა

საგანგებოდ გამოჩენილ და სახელგანთქმული ატრაქციონების მონაწილეობით. 4 ეშმაკი დღეს განცვიფრებაში მოიყვანენ დამსწრეთ ერთფა, ორმაგ, სამხაირ და არაბულ პირუეტ-სალტო მორტელეებით. მართლაც უკანასკნელი შედევრი საცირკო ხელოვნებისა. გასტროლები: გამბედავ მოვარჯიშესი ,,ჰაერის ასულისა'' ქ-ნ ელეონორასი; მეზღვაურ შეუდარებელ ჯამბაზებისა ქ-ბ. ელა და კარპისა დუნკანისებურ აღმოსავლეთის ცეკვისა და პლასტიკის ფეხშიშველად შემსრულებელისა, აფრიკელი ცოცხალი გველებით საფოსი უკანასკნელი გამოსვლა ცნობილ მასხარის ბ. რობერტის, გამოჩენილი მოლაპარაკე ვირით და ძაღლით.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 506. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი [illegible] გამოფენაზე 1910 წ.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

მვირმვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა ,,მეგობრობა'', დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12 ½—1 ს. ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირადოვი რ. გ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	გედევანიშვილი. მ ა. შაბათობით 10½—11. ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. ორიმბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი გ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარული ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი: აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით 1035

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს, საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 408

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.; გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ.; № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა და ღრძილებისა

ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი კბილისა

არჩილ დოლიძე

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ხაძალადღ., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ექიმი კბილის

ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს აბასთუმანში.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ქართული პრესა

როდესაც „თანამედროვე ქვეყანამ“ „თბილ ადგილებზე“ ჩამოაგდო ლაპარაკი, წინდაწინვე ვიცოდით, რომ მას სულ სხვა მუცლის გვრემა ჰქონდა. იგი სწუხდა, რომ ამ „თბილ ადგილებს“ „თანამედროვე ქვეყნის“ თანამოაზრენი ვერ დაეპატრონნენ. ამ დღეებში ჩვენ მოვიყვანეთ „ბათომის გაზეთი“-ს აზრი პარტიული შუღლის მოსპობის შესახებ ქართულ კულტურულ დაწესებულებაში და ჩვენის მხრით დავუმატეთ, რომ სასარგებლოა ეს აზრი საქმის დროსაც არ გვავიწყდებოდეს. გვგონია, ეს მოსაზრება თავისთავად ასეთს არაფერს შეიცავს, რომ ვისმეს გულისწყრომა დაგვემსახურებინა. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, მელას რაც ელანდება, ის ესიზმრებაო. „თანამედროვე ქვეყანა“-მ აი როგორ გაგვცა პასუხი:

„სიტყვით, გულუბრყვილოდ და დასაჯერებლად, უპარტიობას ჰქადაგებენ, საქმით კი: ა) წ. კ. ს. მთავარ გამგეობაში თითქმის ყველა თავისიანები გაიყვანეს, ბ) ამავ საზოგადოების მდივნად დღეს დეპუტატ აკაკი ჩხენკელის მაგიერ „თავისი კაცი“ ბიუროკრატიულ სამსახურში პენსია დამსახურებული აირჩიეს, გ) ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიებში „სხვა კაცს“ ახლაც არ იკარებენ, მაგალითები უჩვენოდაც მოეხსენებათ, დ) შავი ქვის მრეწველთა საბჭომ, რომლის მეთაური ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძეა, ამ დღეებში, როგორც უკვე ვწერდით, ჭიათურის რაიონში საბჭოს მიერ გახსნილ სკოლებში მასწავლებლად მხოლოდ თავისიანები აირჩიეს“ და სხვა.

ერთის სიტყვით, სტირის „თანამედროვე ქვეყანა“. საუბედუროდ ამ წინ-დაუხედავმა გაზეთმა, რომელსაც გაბოროტების დროს ყველაფერი დაავიწყდება ხოლმე, ისეთ ნიადაგზე დააყენა საკითხი, რომ ჩვენ ყოველგვარ საშუალებასა ვართ მოკლებული, დავუმტკიცოთ, რომ „თანამედროვე ქვეყანა“ ძალიანა ჰლალატობს ჭეშმარიტებას, მაგრამ ერთს გარემოებაზე კი მაინც მიუთითებთ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარსული არჩევნები შეთანხმებით მოჰხდა, ასე რომ რაიმე განსაკუთრებული ჯგუფობრივი ქენიანობის გამოჩენა ჩვენ არ შეგვეძლო. რად ივიწყებს ამ გარემოებას „თანამედროვე ქვეყანა“. რაიცა შეეხება ადგილების დარიგებას, თითოეულად ზემოდ ჩამოთვლილი დაწესებულება, ალბათ, ისე იქცევა, როგორც საქმისთვის სასარგებლოდ მიაჩნია. ყველა ზემოდ ჩამოთვლილ დაწესებულებებში არიან... მაგრამ, ეჰ, რა საჭიროა სიტყვის გაგრძელება? სულერთია „თანამედროვე ქვეყანა“-ს სიმართლე არ აინტერესებს.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ ერთს შეკითხვას მივცემთ. კიდეც რომ ასე იყოს, თქვენ რა გაწუხებთ? თქვენ ხომ „თბილი ადგილების“ წინააღმდეგნი ხართ? გვიპასუხეთ, რა გაწუხებთ?

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ დღეებში რუსეთში გამოვიდა ბ-ნ ვალტერის წიგნი ფინლიანდიის შესახებ „ფინლიანდიის კულტურის ქვედა-პირი“, რომელშიაც ავტორი, რასაკვირველია, უარს არა ჰყოფს, ფინლიანდიის კულტურას, მაგრამ ფინლიანდიისავე გაზეთებიდან ამოკრებილი ცნობებით ამტკიცებს, რომ ფინლიანდიის კულტურასაც ბევრი აქვს ნაკლი.

„ჩვენ, რუსებს“,—ამბობს ვალტერი,—არ შეგვიძლია მოვითმინოთ, როდესაც პატარა მხარეს, რომლის კულტურას,—ლოთობა, ზნეობრივი თავ-აშვებულება, სიმხეცე, და სხვა ნაკლი ჩირქსა ცხებს, ისევე, თუ არა მეტად, როგორც ჩვენს კულტურას,—ჩვენს წინაშე ყოყოჩობდეს და ჩვენის სახელმწიფოებრივის განვითარების გზაზე აჩხირებდეს რაღაც განსაკუთრებულ თავის კულტურას“.

ბ-ნ ვალტერს არა სცოდნია კრილოვის იგავ-არაკები. გავახსენებთ, მაგ. ერთს: ღორი მებატონის ეზოში შევიდა და მაშინვე წუმპეში ჩავარდა; მთელი დღე იქ გაატარა და მერე მეგობრების წინ გაჰკიცხა ეს ეზო: წუმპეების მეტი იქ არა იყო რაო. წიგნის ავტორი იმდენად დაბრმავებულია თავისი ცდით წუმპის განახვით, რომ ვერ ამჩნევს, ფინლანდიელების მთელი პრესა როგორის ზიზღით იხსენიებს ხოლმე თუ მათს მხარეში ერთი-ორი მაგალითი მოხდა ძალმომრეობისა და უკულტურობისა. ვალტერსა და „ნოვოე ვრემიას“ კი ეს საერთო მოვლენად გადაუქცევიათ. „ნოვოე ვრემია“ ასეთი „აღმოჩენის“ სიხარულით ცას დასწევია და ამბობს:

„რასაკვირველია, თვისი თავის კმაყოფილ ფინლანდელებს არ შეუძლიათ დასცინონ ათასი წლის მათს კეთილისმყოფელებს—რუსის „მუჟიკს“, რომელმაც მორწყო თავისი ტალახისებური სისხლით (ფინლანდიის გაზეთის აზრიაო) ბრძოლის ველები და ოფლით კი თვისი ხრიოკი სამშობლო, რის გამოც აგრე აყვავდა უცხოელ ფინლანდიის კულტურა“.

„ნოვოე ვრემიას“ თანამოაზრეთა შმორიანი სისხლი არამც თუ არ ააყვავებს, არამედ სულს შეუხუთავს და სამშივე ჩაახშობს კულტურის ყოველგვარ ჩანასახს.

***

„რუსკაია მოლვა“ იხება ორ პალატიან სისტემის დანიშნულებას და ამბობს, რომ არგუმენტები ზედა პალატის სასარგებლოდ, თითქოს თუ ეს ინსტანცია არ იქნა, კანონმდებლობა მუდმივ რყევაში იქნებაო, ვერავითარი საბუთია. თუ ზედა პალატა არ იქნება თანასწორობის დამცველის როლის შემსრულებელი, მაშინ ასეთი პალატა ტორმოზად გადაიქცევაო.

„ასეთია ის პალატა, სადაც ცდილობენ შეაკავონ წინმსვლელობა; ასეთი ზედა პალატა მოქმედებს აღმასრულებელ მთავრობასთან ერთად ან და კიდევ უარესი, თავის ნებით უკანასკნელის აგენტად გამოდის. სწორედ ასეთს პრიმიტიულ ფორმაში გვაჩვენებს თავის კონსერვატიზმს სახელმწიფო საბჭო“. შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ საბჭო მუდმივ ბრძოლაშია კონსტიტუციის პრინციპების წინააღმდეგ ისეთ ზომიერ სათათბიროს არსებობის დროსაც კი, როგორიც მეოთხე სათათბიროა. ეხლა, გაზეთის აზრით, ორივე პალატა შეთანხმებისაკენ იწევს, მაგრამ მათ ხელს უშლის ის „ჩინოვნიკობა“, რომელიც უმაღლესის ნებაყოფლობით ინიშნება, და უპირველეს ყოვლისა, ზედა პალატის თავმჯდომარეო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **წირვა და პანაშვიდი** კვირას. 28 ივლისს, დიდუბის ეკლესიაში ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თაოსნობით განსვენებულ საზოგადო მოღვაწისა და პროფესორის ა. ს. ხახანაშვილის გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.

✦ **ალავერდის ეპისკოპოსად**, როგორც ხმა დადის, ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გერმანი ინიშნება.

✦ ღ. ზუგდიდში, 7 ივლისს, **წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზ. გამგეობამ გამართა სეირნობა** და ბალი განყოფილების სასარგებლოდ. სულ შემოუვიდა 235 მ. 35 კ. წმინდა მოგება დარჩა 150 მან.

✦ **საბირჟო ცნობები**. 25 ივლისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან., აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან., აძლევდნენ—82 მან. 30 კ. დ ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—81 მან. აძლევდნენ—80 მან.

სახელმწიფო მომგებიანი ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ ხარისხის ბილეთები—483 მან. მეორისა—354 მან. და მესამისა—313 მან.

✦ **ტრამვაის** დირექცია დათანხმდა, 25 ივლისიდან მგზავრებს წინანდებურად 8 კ. აღარ ახდევინოს ერევნის მოედნიდან მუშტაიდით რკინის გზის სადგურამდე მისვლაში.

✦ **ხილეულობის გამოფენა**. მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 1,000 მან. გადასდო მომავალ შემოდგომაზე ტფილისში ხილეულობის გამოფენა-იარმუკის მოსაწყობად.

✦ **კრების ხარჯი**. საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრების მოსაწვევი ხარჯი ნავარაუდევია 9,712 მან. საორგანიზაციო ბიურომ სხვა და სხვა დაწესებულებას მიმართა, კრების მოსაწვევ ხარჯის რამდენიმე ნაწილი იკისროს.

✦ გუშინ მოსკოვის ტურისტთა საზოგადოების მერვე ჯგუფმა, რომელიც ტფილისს ამ ორის დღის წინად ჩამოვიდა, დაათვალიერა სიონისა და ანჩისხატის ტაძრები და ქართველ სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი.

შეცდომის გასწორება: „სახალხო გაზეთის“ 13 ივლისის ნომერში, შემოწირულებებში, სწერია: „26 მაისს გამართულ სეირნობისთვის შემოსწირეს: ნიკო ჩიტოშვილმა—ათი ბოთლი ღვინო....“; ნიკოს მაგიერ უნდა იყოს **იოსებ ილიას ძე ჩიტოშვილი**.

მეცნიერი და მისტიკოსი

გამოვიდა გამოჩენილის პოეტის და იდუმალობის მგოსნის მეტერლინკის წიგნი „სიკვდილის“ შესახებ. მეტერლინკი მეტად ღრმა პიროვნებაა და მისი ახალი შრომის გამოქვეყნებას დიდის ინტერესით მოელოდნენ მეცნიერებიც კი. ასე შეხვდა წიგნს, სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი მეჩნიკოვი, რომელიც არჩევს მეტერლინკის თხზულებას და ალაგ-ალაგ უპირდაპირებს მას საკუთარს აგრე წოდებულს „ოპტიმისტურს აზრებს“.

მეტერლინკს თავიდანვე ვიცნობდით, როგორც მწერალს პესიმისტს, მწარე სევდით მოცულს, რომელსაც ყოველ წუთს და ყველგან თან სდევს საშინელი შეგნება სიკვდილისა: პოეტი ცდილობს ოდნავად ფარდა ახადოს ჩვენის არსებობის იდუმალობას, მაგრამ არა ძალუძს გაიხედოს იქით, რამე დანახოს გაღმა და ესეთი უძლურება სულს უხუთავს. ჯერ კიდევ 28 წლის ახალგაზდამ გამოსცა თავის ლექსთა კრებული, სადაც ცხადად ეტყობა მოუსვენარი ტანჯვა და სევდა. გარს გვარტყია იდუმალობა და რა არის ეს იდუმალობა, რა არის? ამგვარი სულიერი მდგომარეობა უფრო ძლიერად არის გამოხატული პირველ დრამაში (პრინცესა მალენ), რომლის მომქმედნი პირები ემონებიან რაღაც უხილავს ბოროტს ბედს. შემდეგს პიესებშიც გაბატონებულია სიკვდილი, რომელიც შეიპარება ყველა კუნჭულში და ყველაფერს ანადგურებს. ცხოვრების ყოველ საკითხზე მეტერლინკი იდუმალობით გვიპასუხებს და გვეკითხება: რაღაა სიკვდილი, არ ყოფნა? მის „ბრმებში“ ბრმები არიან სწორედ თვალახილულნი, რომელნიც მშვიდობიანად სხედან და ვერ ხედავენ, თუ როგორ შემოვა სახლში სიკვდილი, მაშინ როდესაც სიკვდილს ხედავს მხოლოდ ბრმა მოხუცი, რომელიც ჰკანკალებს მისი მოახლოვებისაგან.

რამდენიმე წლის შემდეგ ცოტაოდენი შუქი გაანათებს მეტერლინკის ნაწერებს, სრული უიმედობა გაჰქრება და სხივი სიხარულისა გაანათებს ცხოვრებას. გარეგანი ქვეყანა წარმოუდგება მას ახალის სახით. ყვავილები და ფუტკრები მოწმობენ მისთვის, რომ მხოლოდ ბოროტება არ ბატონობს, რომ სიკეთეც და მადლიც არის ქვეყანაზე. ყვავილების იმ რთულ მოწყობაში, რომლის შემწეობით მცენარეებისთვის უზრუნველყოფილია უფრო ძლიერის თაობის წარმოშობა, მეტერლინკი ხედავს არა ბუნებრივს შერჩევას, არამედ გონების მოქმედებას. ეს „გონება მცირე ნაწილია იმ დიად გონებისა, რომელიც ასულდგმულებს ყოველს არსს და რომელიც გამომდინარეობს იმ წყაროდან, საიდანაც გამოდის ჩვენი საკუთარი გონებაც“. ამის აღიარება—იმისა, რომ ჩვენ ვართ ნაწილი მსოფლიო კეთილისმყოფელ გონებისა,—არის სხივი იმედისა, რომელმაც გააშუქა წყვდიადი მეტერლინკის შეხედულობათა, ამბობს მეჩნიკოვი.

ამ მოვლენას მეტერლინკის ცხოვრებაში მეცნიერი ხსნის თავის „ოპტიმისტურის“ მეთოდით. მისთვის სიმწარე, სევდა, ნაღველი, უარყოფა, განდგომა ცხოვრებიდან მარტო ფიზიოლოგიური მოვლენაა. უმეტეს შემთხვევაში პატარა ვაჟები ქალებს დასცინიან, მაღლიდან დასცქერიან, არ კადრულობენ მათთან ყოფნას და ბაასს, მაგრამ როგორც კი შეიქნებიან 15—16 წლის, მათი შეხედულობა ძირიანად იცვლება, ვაჟები დიდის პატივისცემით ეპყრობიან ქალებს, უყვართ მათთან სიარული, საუბრობა; ყოველივე ეს ხდება ახალის ორგანოების განვითარებით, მომწიფებით. ახალგაზდა ხშირად პესიმისტია, მაგრამ როგორც კი თანდათან გაძლიერდება მაში ცხოვრების ძალა, ცხოველობის ინსტინქტი, ახალგაზდა მომწიფდება და პესიმიზმი ოპტიმიზმით შეიცვლება. შოპენჰაუერი და გიოტე თავში დიდი პესიმისტები იყვნენ, ხოლო შემდეგ ღრმად შეუყვარდათ სიცოცხლე.

ამ თვალსაზრისით არჩევს მეჩნიკოვი მეტერლინკის ახალს ნაწარმოებს და ამჩნევს, რომ პოეტში განვითარდა ოპტიმისტური მიდრეკილება.

მეტერლინკი ჰფიქრობს, რომ სიკვდილის შიში წარმოსდგება იმისგან, რომ არ ვიცით, საით მივყევართ სიკვდილს, მაშასადამე სიკვდილის საკითხი გადაწყდება მაშინ, როცა ფარდას ავხდით ამ უცნობს და გავიგებთ, საშინელია იგი თუ არა. რა იქნება სიკვდილის შემდეგ? შეუძლებელია, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენი შეგნება დარჩეს დღევანდელის სახით. მეტერლინკს ვერ აკმაყოფილებს ამის დასამტკიცებლად მოყვანილი მრავალი საბუთი. ვრცლად გაეცნო თეოსოფოსების მუშაობას, მაგრამ იქ ვერა ჰპოვა რა მტკიცე. უფრო სერიოზულად მიაჩნია ნეო-სპირიტების გამოკვლევანი და დაწვრილებით შეისწავლა ლონდონის საზოგადოების გამოცემული 25 ტომი. მეტერლინკი სკეპტიკურად უცქერის მოყვანილს მაგალითებს, კიდევ უფრო დიდი სკეპტიკია ამ მხრივ თვითონ მეჩნიკოვი. მაგრამ სანიმუშოდ მოჰყავს გამოჩენილი ვილიამ ჯემსის და მისი ცოლის საუბარი გოჯონის სულთან, რომელიც სპირიტების წინამძღოლი იყო და გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინად. როცა სულს ჰკითხეს, რა იქნება საიქიოს, იგი ჯერ სდუმდა და მერე კი სთქვა: საიქიო რაღაც ბუნდოვანი ფანტაზია კი არაა, არამედ სინამდვილეა. მაშინ ჯემსის ცოლმა ჰკითხა: „იმნაირი ცხოვრება გაქვთ იქ, საიქიოს თქვენ, როგორც აქ ჩვენ?“ სულმა თითქოს ვერა გაიგო რაო და იკითხა: „რა უნდა ამ ქალსაო“. ჯემსმა განუმეორა კითხვა: „თქვენც ჩვენსავით ცხოვრობთ იმ ქვეყნად?“ „გაქვთ ტანისამოსი, სახლი?“ დაუმატა ჯემსის ცოლმა. „დიაღ, სახლი გვაქვს, ტანისამოსი არა. არა, ეს სისულელეა, მოიცადეთ ცოტა, რადგან უნდა წავიდე“,—სთქვა სულმა. იგი წავიდა დასასვენებლად“, დაუმატა მეორე სულმა.

მეჩნიკოვს მოჰყავს ფილოსოფოს ბერგსონის სიტყვები, რომ შესაძლებელია სულებთან ურთიერთობა, მოჰყავს სრული ამის უარყოფა ცნობილ ფსიხოლოგებისა, და დასძენს, რომ გამოკვლევათა შესწავლამ ვერ დაარწმუნეს მეტერლინკი, რომ არსებობს უკვდავება შეგნებული სულისა. ხოლო იგი ფიქრობს: თუ ერთის მხრით, სული არაა უკვდავი, მეორეს მხრით შეუძლებელია მისი მოსპობა, გაქრობა. სული დაჰკარგავს შეგნებას, შეგნებულ ფორმას, მაგრამ გარდაიქმნება და შეუერთდება მარადს სულს, რომლის შესახებ ჩვენ დღეს არავითარი გარკვეული წარმოდგენა არა გვაქვს. სულის მდგომარეობას საიქიოს მეტერლინკი ადარებს მშვიდობიანს უსიზმრო ძილს. „რა შეუერთდება უსაზღვრობას, სული შეუერთდება განუსხვავებლობის ზღვას ან სიხარულის ოკეანეს“. „როგორიც უნდა იყოს, რომელიც ჩვენს შემდეგ იარსებებს და რომელიც განაგებს ჩვენს არსებობას იმ ქვეყნად, ეს საიქიო ცხოვრება არ შეიძლება იყოს ნაკლებად ინტენსიური ან ნაკლებად ბედნიერი, ვიდრეა ამ ქვეყნიური ცხოვრება. მისი ერთად ერთი ნიშანი იქნება უსაზღვრობა, ხოლო უსაზღვრობას ვერ წარმოვიდგენთ, თუ არა ნეტარების სახით“. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ „მსოფლიო შეცდომა იქნებოდა, რაიც შეუძლებელია, რადგან უსაზღვრო შეცდომა წარმოუდგენელია. ის, რაც ჩვენის სულისაგან გარდავა მარადისობაში, უნდა შეუსისხლხორცდეს მას. თუ უკანასკნელს აქვს რაიმე, ჩვენთვის მიუწდომელი, შეგნება, მაშინ ცხადია, რომ ეს შეგნება „შეუძლებელია იყოს უბედური, რადგან წარმოუდგენელია, რომ მარადისი არსებობდეს მხოლოდ თავის უბედურობისათვის. მაშასადამე არც ჩვენ ვიქნებით უბედურები იმ ქვეყნად. ხოლო თუ მარადისობა, რომელსაც შევუერთდებით, მოკლებულია შეგნებას, მაშინ შეგნება არ ყოფილა საჭირო ბედნიერებისთვის“. ვინაიდან ჩვენი სული უნდა შეუერთდეს მარადისობას და „მარადისს არ შეუძლია უნდოდეს ჩვენთვის ბოროტი, რადგან ამ შემთხვევაში იგი თავის თავს მიაყენებდა ტანჯვას, ამიტომ ჩვენ სრულებით არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რაც საიქიოს იქნება“.

ამ დასკვნას მეტერლინკი დასასრულ უმატებს შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ უნდა შევურიგდეთ სიცოცხლეს, რომელსაც გარს აკვრია მიუწდომელი, იდუმალი, და უნდა გვიხაროდეს კიდეც ეს. მე არ ვუსურვებდი ჩემს უსაშინელეს მტერსაც, იცხოვროს ქვეყანაზე, რომლის საიდუმლოებას მისწვდა“.

ასეთია მეტერლინკის აზრები მის ახალ წიგნში გამოთქმული. როგორც თავშივე ვსთქვით ღრმად მოაზროვნე პოეტის ფილოსოფიურს თავისებურს ევოლიუციას მეცნიერი მეჩნიკოვი ფიზიოლოგიურის მოვლენით ხსნის. მეტერლინკის გონება მუდამ მიპყრობილი იყო ცხოვრების საიდუმლოებისაკენ, მან სავსებით განიცადა სიდიადე სიკვდილისა, ყოველი მისი ნაწარმოების საგანი ეს იყო, მთელი მისი შემოქმედება სულ იდუმალობას, მიუწდომელს დასტრიალებდა თავს. ამავე საკითხს ეხება თავის უკანასკნელს გამოკვლევაში. მართალია, აქ იგი ასე თუ ისე გასავალს გზას ჰპოვებს, მთლად ბრმა არ არის, მთლად ურწმუნო და უიმედო, მაგრამ მოუხერხებელია ამის ახსნა იმით, რომ მეტერლინკში განმტკიცდა ინსტინქტი სიცოცხლისა, როგორც მეჩნიკოვი ამბობს.

მეჩნიკოვისთვის არ არსებობს გარეშე ქვეყანა გარდა ამ ქვეყნისა, ამ ცხოვრებისა და ღრმად სწამს, რომ მეცნიერება სასიამოვნოდ მოაწყობს ამ ცხოვრებას, რომ ადამიანი მოიპოვებს ხანგრძლივობას, გაძღება ცხოვრებით და თავის ნებით მოინდომებს სიკვდილს; მაშინ სიკვდილი არ იქნება საშიში. მეტერლინკს მიტომ დაეტყო ოპტიმისტობა, რომ მასში გაძლიერდა სიცოცხლის ძალა, ცხოველური ძალა, გამაგრდა სრული სხეული. მაგრამ გვგონია, რომ მეტერლინკისებურ სულის კვეთებას, მისწრაფებას „იმ ქვეყნისკენ“ მოუსვენარს რებას მსოფლიოს წარმოშობის და დასასრულის იდუმალობისას ვერავითარი ცხოვრებას კმაყოფილება ვერ მოსპობს. გვეცოდინება—რა ვართ, მაგრამ სანამ არ მივწვდებით—რა ვიყავით და რანაირი ვიქნებით, შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ და როგორც უნდა განვითარდეს ჩვენში ინსტინქტი სიცოცხლისა, არსებობისა,—არ გვახლდეს სევდა, ნაღველი, მოუსვენრობა?..

ს. ფ.

კანონ-პროექტი გლეხთა მემკვიდრეობის შესახებ

გლეხთა მემკვიდრეობის წესის 1906 წლის 9 ნოემბრის კანონთან შესათანხმებლად შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა „პროექტი კანონისა, რომელიც ეხება მიწის წვრილი მფლობელობის მემკვიდრეობას“. ამ პროექტს ქვემოდ მოვიყვანთ. ჯერ აღვნიშნავთ ამ საყურადღებო კანონ-პროექტის შემუშავების ისტორიას. გლეხთა მემკვიდრეობის შესახებ კანონ-პროექტი პირველად შემუშავებული იყო იუსტიციის სამინისტროსაგან, რომელიც ამ საკითხს პირველად შეხვდა სამოქალაქო კანონის გადათვალიერების დროს, განსაკუთრებით მე-X ტომის განხილვის დროს. სამინისტროს აზრით, უკვე დაძველებული წესი, რომელიც არსებობდა აქამდე უნდა შეცვლილიყო ახალი წერილობითი წესით, კანონით.

იუსტიციის სამინისტროს მუშაობა დაიწყო რამდენიმე წლის წინად, როდესაც გლეხობა განსაზღვრულ უფლებიან წოდებას წარმოადგენდა. პროექტი შემუშავებული იყო, მაგრამ სამოქალაქო დებულების საერთო განხილვამდე მსვლელობას ვერ ეღირსა. შინაგან საქმეთა სამინისტროც შეუდგა ამავე კანონ-პროექტის შემუშავებას, მხოლოდ უფრო გვიან, 1906 წ. 9 ნოემბრის ბრძანების გამოცემის შემდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე მიიღო მხედველობაში 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელმაც გლეხობა სწორუფლებიანად გახადა სხვა წოდებებთან. და აგრეთვე იხელმძღვანელა 9 ნოემბრის ბრძანების პრინციპით ე. ი. მიწის მფლობელობა შეუზიარებლად (единоличный) გახადა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონ-პროექტი იუსტიციის სამინისტრომ ახლანდელ პირობებისათვის უფრო შესაფერისად სცნო ვიდრე თავისი და ამიტომ თავისი კანონ-პროექტი უარჰყო, მხოლოდ უფლება დაიტოვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონ-პროექტის შესახებ თავისი მოსაზრებანი გამოეთქვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მინისტთა საბჭოს ამ კანონ-პროექტის შესახებ მოხსენება, რომელშიაც ეხება გლეხთა ცხოვრებას, აღნიშნავს 1906 წ. 10 და 11 წ.წ. კანონებს გლეხთა შესახებ და სხვათა შორის ამბობს, რომ ამ კანონების გამოცემის შემდეგად საჭირო გახდა გლეხთა მიწის მფლობელობის გაუმჯობესებაო და მთელი შესაფერი კანონმდებლობის გადასინჯვა, რის საჭიროებაც შეიგნო მთავრობამ ამ 9 ნოემბრის კანონის გამოცემის დროსო. „მიწისა და სხვა ქონების გლეხთა მემკვიდრეობა ეს ის საკითხია, ამბობს მინისტრი, რომელიც ძალიან მცირედ არის გამორკვეული კანონში.“ შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, თუ რა დამოკიდებულებაში არის გლეხთა მემკვიდრეობის წესი ადგილობრივ წესებთან, ზნეჩვეულებათა და სხვათაგან, რომელთაც უკვე დაჰკარგეს თავისი მართივობა. მასთან ერთად, ამბობს მინისტრი, გლეხთა უფლების შეგნება, ცხოვრების სხვა და სხვა პირობის გავლენით, თანდათან უახლოვდება სხვა წოდებათა უფლების შეგნებას. გლეხობა ხშირად ვარდება ორი რიგის უფლებათა შუა: ჩვეულებითი წესისა და საერთო სამოქალაქო წესისაო. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, თუ რისი მიხედვით ხელმძღვანელობდნენ კანონ-პროექტის შედგენის დროს. აი, თითონ კანონ-პროექტიც:

კანონ-პროექტის მოქმედების ფარგალი.

მომავალი კანონი, შესახებ მემკვიდრეობისა, უნდა ეხებოდეს უპირველესად ყოვლისა ნადელებს. მაგრამ, როგორც 1910 წ. 14 ივნისის კანონი განზრახულია არა მარტო ნადელებისათვის, ისე ეს კანონ-პროექტიც უნდა ეხებოდეს ნადელს გარეშე მყოფ მიწებსაც. გარდა ამისა, ამ განზრახულ კანონ-პროექტს უნდა ექვემდებარებოდეს მიწის ყოველი ნაჭერი, მიწად-მომწყობი წესით (დამიჯვნით და სხვ.) შექმნილი. ამავე კანონ-პროექტს უნდა ექვემდებარებოდეს ის მიწები რომელნიც გლეხებსა, თუ სხვა წოდების მიწის-მფლობელს ექნებათ შეძენილი ხაზინისაგან 1906 წ. 27 აგვისტოს დებულების მიხედვით. აგრეთვე ის ნაჭრებიც, რომელნიც შეძენილ იქნებიან საგლეხო ბანკის შემწეობით ერთი პირისაგან, სხვის შეუზიარებლად და სამემკვიდრო სამფლობელოდ სამიწად-მოქმედო ამხანაგობათაგან.

კანონით მემკვიდრეობა

უმთავრესი მიზანი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მიწის წვრილ მფლობელობის მემკვიდრეობის კანონის შემუშავების დროს, შეიცავს ცალკე ნაჭრების უკიდურესად დაყოფის უფლების შეზღუდვას. საჭიროა, არ დავკმაყოფილდეთ იმ კანონით, რომელიც მიწის გაყოფას შეეხება და შეიქმნეს ისეთი წესი მემკვიდრეობისა, რომელმაც შეამციროს მემკვიდრეთა რიცხვი და ამით შეასუსტოს ძირითადი მიზეზი მიწის პატარ-პატარა ნაჭრებად დანაწილებისა და შეამოკლოს ამასთანავე რიცხვი თანამემკვიდრეთა, რომელთაც თავისი წილი ფულად უნდა მიიღონ და ამით წვრილ მემამულეთ თავიდან ააცილონ ზედ მეტად დავალიანება.

მემკვიდრეობა ანდერძით

1912 წ. 3 ივნისის კანონით მამა-პაპისეულ მიწის მფლობელთ მინიჭებული აქვთ უფლება: 1) განაწილონ ქონება შთამომავალთა შორის ე. ი. შესცვალონ ის წილი, რომელიც მათ კანონით ეკუთვნის; 2) შთამომავალთაგან დანიშნონ მემკვიდრედ რამოდენიმე ყველა მემკვიდრის მაგიერ, შეუძლიან დანიშნონ ერთიც; **3)** მოუსპოს თავის წილი მეუღლეს, მიზეზების აღუნიშვნელად და შეუძლიან არ მისცეს აგრეთვე ფულიც. კანონ-პროექტი ავრცელებს 1910 წ. 3 ივნისის დებულებას შესახებ მამა-პაპისეულ ქონების მემკვიდრეობისა ყველა მიწაზე, ყველა ქონებაზე, მიუხედავად შეძენის საშუალებისა. 1910 წ. 3 ივნისის კანონი შესახებ მიწის წვრილ მფლობელობისა საჭიროებს დამატებას ორი მხრით: პირველია ის, რომ იგი არ უზრუნველჰყოფს მშობლებისა და ცოცხლად დარჩენილ მეუღლის ინტერესებს, და მეორე ისა, რომ იგი გარკვევით ვერ აღნიშნავს საანდერძო უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები აღარ არიან. გლეხთა ცხოვრების პირობები არ იძლევიან საშუალებას, რათა მამა-პაპისეული და კეთილ-შეძენილი ქონებანი დაუპირდაპიროთ ერთმანეთს. ამის გამო გავრცელდა გლეხთა შორის ეგრედ წოდებული საოჯახო სამფლობელო ქონება, რომელიც ხელს უშლის საანდერძო უფლების განვითარებას, ამიტომაც ეხლა, თუ კი გლეხებს მიეცემა საანდერძო უფლების თავისუფლება, შედარებით, უეჭველად უნდა შეიძლოდეს იგი.

კანონ-პროექტის უმთავრესი მუხლები.

მ. 156^{8}. ნაშვილებნი მიწის წვრილ მფლობელობის მემკვიდრეობისდროს (**მ. 419^{1}**) ნაშვილობის შემდეგ, როგორც კანონით, ისე ანდერძით ჰსარგებლობენ კანონიერი შვილების უფლებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვაჟების უყოლობის დროს იგინი მემკვიდრეობენ გაუთხოვარი ქალების უფლებით. სოფლის მცხოვრებთა მემკვიდრეობის დროს ამავე უფლებით ჰსარგებლობენ სიძეები და ნაშვილებნი—ქალიც და ვაჟიც,—მხოლოდ თუ 10 წლით ადრე არიან ნაშვილებნი.

მ. 419^{1}. მიწის წვრილ მფლობელობას შეადგენენ: 1) სანადელო მიწები; 2) მიწები საჩუქრად მიღებული, არა სანადელო, აგრეთვე სოფლის საზოგადოებისაგან შეძენილი იმ თანხით, რომელიც მიწის ნებაყოფლობითი ან ძალდატანებითი ჩამორთმევის დროს მიიღეს. 3) ყველა სანადელო მიწა სოფლის მცხოვრებლებისა. 4) მიწები, შეძენილი საგლეხო ბანკის შემწეობით, აგრეთვე შეძენილი ხაზინიდან 1906 წ. 26 აგვისტოს უმაღლესი ბრძანების მიხედვით. 5) სხვა მიწები, რომელნიც მიწად მომწყობ დებულებას ექვემდებარება, გარდა იმ მიწებისა, რომელთა მფლობელნიც არ ემორჩილებიან სასოფლო სამართველოებს.

მ. 419^{2}. მიწის წვრილ მფლობელობის დებულებანი სათემო მიწებს არ ეხებიან.

მ. 1103^{1}. მიწის წვრილ მფლობელთა შეუძლიანთ ანდერძი შეადგინონ საერთო წესით და გარდა ამისა იმ პირებს, რომელნიც ექვემდებარებიან საგლეხო დაწესებულებას, შეუძლიანთ ანდერძი შეასრულონ, მიუხედავად ნაანდერძევი ქონების ღირებულებისა, სასოფლო სასამართლოებშიაც.

მ. 1103^{2}. მიწის წვრილ მფლობელთა ანდერძები, რომელნიც იქნებიან დამტკიცებული საერთო წესით, ან სოფლის სამართველოებით, მტკიცდებიან სისრულეში მოსაყვანად მო-

ეროვნული საკითხი

თავი II

ეროვნული პროგრამები

1.

წინასწარი მოსაზრებანი.

ეროვნული საკითხი ერთი ისეთი საკითხთაგანია, რომლის გადაწყვეტის დროსაც მრავალი ინტერესი ერთმანეთში გადაიხლართება ხოლმე. ისტორიულმა მსვლელობამ სხვა და სხვა ერი სხვა და სხვანაირ პირობებში ჩააყენა. თუ მსოფლიო რუკას გადაავლებთ თვალსა, დაინახავთ, რომ დიდსა და ძლიერ სახელმწიფოთა გვერდით განვითარებულა და გაუძლიერებია თავისი შინაგანი კულტურული ცხოვრება ტერიტორიალურად პატარა სახელმწიფოს. ტენდენციები და მისწრაფებანი დიდი, იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, სრულიად არა ჰგავს პატარა სახელმწიფოების ინტერესებს. თვით შინაგანი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურაც სხვა და სხვანაირია. თვალს გააყოლებთ რუკას და დაინახავთ, რომ ზოგიერთს დიდს სახელმწიფოში თავი მოუყრია პატარ პატარა ერებს. ბევრს მათგანს ოდესღაც ჰქონია დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, უცხოვრია თავისი საკუთარი კულტურით, მაგრამ ისტორიული ჩარხის ტრიალს იგი დიდს სახელმწიფოს საზღვრებში ჩაუგდია. ზოგიერთი ამნაირი ერთაგანი ბედს დამორჩილებია, დაუვიწყია თავისი ისტორიული ტრადიციები, ზოგში კი იმდენად შენახულა როგორც ისტორიული ტრადიციები, ისე სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყველა ატრიბუტები, რომ სურვილი და იმედი პოლიტიკური აღდგენისა არ გაჰქრობია. რა თქმა უნდა თვითოეულ ასეთს სახელმწიფოში ეროვნული ინტერესი სხვა და სხვანაირ სახეს იღებს და ეროვნული საკითხიც ერთნაირად არა სწყდება. მრავალ ერიან სახელმწიფოებში გაბატონებული ერის აზროვნება თავის ბეჭედს ასვამს ეროვნულ საკითხს და აბნელებს, ბუნდოვანადა ჰხდის.

თანამედროვე განვითარებულმა კაპიტალისტურმა ცხოვრებამ დიდი ძალი დაადო ეროვნულ საკითხს და წარმოშობა ცნებანი, რომელთა ნამდვილი ბუნება და თვისება ბურუსში გაეხვია. ნაციონალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ინტერნაციონალიზმი, აი ის ცნებანი, რომლებიც ხშირად იხმარება ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს და რომელთა მნიშვნელობაც ბუნდოვანადა აქვს წარმოდგენილი ბევრსა. ეს ბუნდოვანობა ზემოხსენებული ცნებებისა ხელს უშლის ეროვნული საკითხის სწორედ გადაწყვეტას და აფერხებს საერთაშორისო სამართლიანობის დამყარებას.

კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნებაა. კოსმოპოლიტს ეროვნება გარდამავალ მოვლენად მიაჩნია და ამიტომ არც არავითარ ფასს აძლევს. ისტორიულმა მსვლელობამ წარმოშობა ეროვნება და მალე ისტორიული ჩარხის ტრიალშიაც შთაინთქმება იგი. ამიტომ ერთად ერთი ღირებულება აქვს კაცობრიობას და მის შემადგენელ ნაწილებს—ინდივიდუმებს. კოსმოპოლიტისთვის რუსები, ფრანგები, ქართველები არ არსებობს. არის მხოლოდ კაცობრიობა, არიან კერძო პიროვნებანი, რომელნიც კაცობრიობას შეადგენენ. ამიტომ არავითარი ეროვნული ინტერესი არ არსებობს. კოსმოპოლიტის წარმოდგენით, ეროვნებანი უნდა ალიგავოს დედა მიწის ზურგიდან. უნდა მოისპოს ეროვნება და დარჩეს მხოლოდ კაცობრიობა.

ნაციონალიზმი კოსმოპოლიტიზმის სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს. ნაციონალიზმისთვის, პირიქით, არსებობს მხოლოდ ერი, არ არსებობს კაცობრიობა. ერი უმაღლესი ღირებულებაა. მისი ინტერესების თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ყველა სხვა მოვლენა და ყველაფერი მას დავუქვემდებაროთ, დავუკავშიროთ.

ამ ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო, ცნების შემაერთებელი და შემათანხმებელი ცნება არის ინტერნაციონალიზმი. ინტერნაციონალიზმი არც ეროვნებას უარჰყოფს, არც კაცობრიობას. მისის აზრით, როგორც ეროვნებას, ისე კაცობრიობას აქვს თავისი ღირებულება. ეროვნებანი კი არ უნდა მოისპოს, არამედ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შეჰქმნან საერთა-შორისო, ინტერნაციონალური ერთეული. ამისათვის კი საჭიროა, **ყველა ეროვნება თავისუფალი იყოს.** თავისუფალ ეროვნებათა კავშირი შეადგენს ინტერნაციონალურ ერთეულს. ეს იყო და არის პრინციპი ინტერნაციონალიზმისა, იგი დაედო საფუძვლად საერთაშორისო სოციალიზმს.

მაგრამ ამ, თავისთავად ადვილად გასაგებ და სამართლიან პრინციპის განხორციელებას წინ მრავალი დაბრკოლება გადაეღობა. არამც თუ ბურჟუაზიულმა მწერლობამ, არამედ სოციალისტურმა ჯგუფებმაც ერთბაშად და ადვილად ვერ შეიგნეს ეს სადი პრინციპი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, მაგალითად, ძალიან დიდხანს იკვებებოდა კოსმოპოლიტური აზრებით და დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ეს კოსმოპოლიტური აზროვნება იყო უმაღლესი იდეალი სოციალიზმისა. ამასთანავე ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კოსმოპოლიტიზმი განსაკუთრებული თვისებისა იყო. დიდი, იმპერიალისტური სახელმწიფოები იპყრობდნენ პატარ-პატარა ერებს, მათ ინტერესებს თავის დიდს სურვილებს უმორჩილებდნენ და მოითხოვდნენ მათგან, დაევიწყებინათ ოცნებანი ეროვნულ განახლებისა. ყოველი სურვილი პატარა ერის თავის-დაცვისა ინათლებოდა შოვინიზმად და ნაციონალიზმად. ამ ბუნებრივ სურვილს უპირისპირდებოდა კოსმოპოლიტური აზროვნება დიდი სახელმწიფოსი, რომელიც მთელი თავისი შინაგანი თვისებით უკიდურესი ნაციონალისტური იყო. დაემორჩილეთ ბედს, ნუ მოინდომებთ ისტორიის ჩარხის მოტრიალებას, რადგანაც ეს შეუძლებელია. ასე ეუბნებოდა დიდი სახელმწიფო პატარა ერებს. მაგრამ ისტორიამ დაგვანახვა, რომ ბევრმა პატარა ერმა ამ რჩევას არ დაუჯერა და ბედნიერადაც მოაწყო თავისი ეროვნული ცხოვრება. ასეთი აზროვნება ბურჟუაზიულია. იგი თვისებაა ყველა გაბატონებული ერისა. რამდენად ძლიერია ეს აზროვნება, იქიდანა სჩანს, რომ ხშირად, ძალიან ხშირად სოციალისტური ჯგუფებიც კი მის გავლენას განიცდიან და ეროვნულ საკითხსა სწყვეტავენ ისე, როგორც ამას გაბატონებულ ერის ბურჟუაზიული აზროვნება მოითხოვს. თვით კ. მარქსიც კი მოკლებული არ იყო გაბატონებული ერის ფსიხიკას. იგი ისევე მტრულად ეკიდებოდა პატარა ერთა პრეტენზიებს, როგორც გაბატონებულ ერის უკიდურესი ნაციონალისტი. აი, მაგალითად, რას ამბობს კ. მარქსი ავსტრიის პატარა ერთა შესახებ: „ავსტრიის სლავიანებმა რომ შეადგინონ ისეთივე კომპაქტური მასსა, რანაირსაც შეადგენენ პოლონელები, უნგრელები, იტალიელები, რომ ერთად შეჰქმნან 12—20 მილიონიანი სახელმწიფო, მათ პრეტენზიებს კიდევ ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა“. ეს კიდევ ცოტაა. მარქსის მტრული განწყობილება პატარა ერებისადმი იქამდის მიდის, რომ შეურაცხყოფს კიდეც მათს ეროვნულ თავმოყვარეობას. „პოლონელებსა, რუსებსა და, სულ დიდი, ოსმალეთის სლავიანთა გარდა, სლავიანთა არც ერთს სახელმწიფოს მომავალი არა აქვს, იმ უბრალო მოსაზრებათა გამო, რომ ამ სლავიანებს აკლიათ **ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ინდუსტრიალური პირობები არსებობისა**“ (ხაზი ჩვენია). „პირველი საყოველთაო ომი,—სწერს კ. მარქსი,—ნაფოტებად აქცევს სლავიანთა კავშირს და გაანადგურებს ამ პატარა, **ხარისხთავიან** ერებს, მოსპობს მათს სახელს. მახლობელი მსოფლიო ომი მოსპობს არა მარტო რეაქციონურ კლასებს, არამედ აღგვის დედამიწის ზურგიდან რეაქციონურ ერებსაც“. რეაქციონური ერები კი, მარქსის აზრით, არიან ის პატარა ერები რომლებიც დიდი სახელმწიფოების დირექტივებს არ ემორჩილებიან, არ იზიარებენ მათ იმპერიალისტურ მისიას და თავის საკუთარ მომავალზედაც ფიქრობენ. ჩეხებმა, მაგალითად, მარქსის აზრით, უნდა დაუთმონ გერმანელების ძლიერ კულტურას და ხელი აიღონ ეროვნულ პრეტენზიებზე. ჩეხებმა წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ გერმანელ კულტურის ძლევა-მოსილ მსვლელობას. თუ ასე არ მოიქცნენ, რეაქციონერები იქნებიან და სასტიკადაც დაისჯებიან, როდესაც დიდი კულტუროსანი ერები თავის კულტურულ მისიის შესრულებას შეუდგებიან. მარქსის აზროვნება ტიპიური აზროვნებაა იმპერიალისტისა. განსაკუთრებით დამახასიათებელია მარქსის ის სიტყვები, სადაც ამბობს, მხოლოდ 20 მილიონიან ერს შეუძლიან მოითხოვოს უფლება არსებობისაო. ასე მსჯელობა შეუძლიან მხოლოდ იმპერიალისტს, რომლის თვალშიაც ერს იმდენადა აქვს ფასი, რამდენადაც დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა შეუძლიან.

დაახლოვებით ასეთივე შეხედულება შეიმუშავეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა. მთელი მათი აზროვნება გაჟღენთილია უკიდურეს ცენტრალიზმით და სასტიკად ეწინააღმდეგებიან იმათ, ვინც ეროვნულ საკითხს ანგარიშს უწევს და ჰსურს ეროვნებას მიანიჭოს პოლიტიკური გარანტიები განვითარებისა. ერთ მთლიან ბიუროკრატიულ სახელმწიფოს უპირისპირდება ერთი მთლიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ყოველგვარი გამოხატულება ეროვნული დამოკიდებულობისა რეაქციონურ და ნაციონალისტურ მოვლენად არის აღიარებული. სადადა და მარტივად რომ გამოვსთქვათ ეს აზრი, რუსეთის სოციალ-დემოკრატებს იმდენად მცირე მნიშვნელოვანად, იმდენად არარად მიაჩნიათ ეროვნული ინტერესები რუსეთში მყოფ ერებისა, რომ ძალიან თავს არ იცხელებენ. მათის წარმოდგენით, საკმარისია უფლებრივი სამოქალაქო გათანასწორება ეროვნებათა. ყველა სხვა ინტერესი უნდა დაიჩრდილოს იმ მთავარ მისიის წინაშე, რომელიც დასახული აქვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ეს აზროვნება ტიპიურია. იგი შეიძლება დაიბადოს მხოლოდ გაბატონებულ ერში, რომელიც ეროვნულ შევიწროვებას პირდაპირ კი არ განიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრიგებელ მოსამართლისაგან; იქ კი, სადაც ადგილობრივ სასამართლოს დებულება არ არის შემოღებული—საოლქო სასამართლოს სამაზრო წევრისაგან.

მ. 1103^5. წვრილ მემამულეს შეუძლიან ანდერძით თავის სურვილისამებრ გაანაწილოს ქონება მემკვიდრეთა შორის.

მ. 1103^6. მიწის იმ წვრილ მფლობელთ, რომელთაც პირდაპირი შთამომავლობა არა ჰყავთ, შეუძლიანთ უანდერძონ ქონება: მეუღლეს, ან სხვა შტოის ნათესავებს ან კერძო პირს.

მ. 1103^7 ის პირი, რომელიც ანდერძით მიიღებს საკუთრებად მიწის წვრილ სამფლობელოს, მოვალეა ნაანდერძევის შემოსავლიდან შესაფერისი საცხოვრებელი წილი მისცეს დარჩენილ მეუღლეს, ანდერძის დამტოვებელის ახლო ნათესავს, თუ კი იგინი ამას საჭიროებენ.

მ. 1103^8 წვრილ სამფლობელოს მიწები შეიძლება ეჩუქოს მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ანდერძით დატოვება შეიძლება.

მ. 1221^4 პირდაპირ მემკვიდრედ, თუ სხვა მემკვიდრეებიც არსებობენ მტკიცდება: 1) პირი, რომელიც მემკვიდრეობის დამტოვებელისაგან გამოყოფილი იქნება სიცოცხლეშივე, მიუხედავად მისგან მიღებულ ქონების რაოდენობისა; 2) პირი, რომელიც განცალკევებით სცხოვრობდა მემკვიდრეობის დამტოვებელისაგან და უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში არ იღებდა მონაწილეობას მისი ოჯახის შენახვაში 3) გათხოვილი ქალები, თუ მემკვიდრეობის დამტოვებელის ვაჟებიც არსებობენ.

მ. 1221^5 თუ არა პირდაპირი შთამომავლობა მემკვიდრეობს, უპირატესობა ეძლევა ახლობელ ნათესავთაგანს, ხნიერებით უფროსს, ხოლო სქესობრივის მხრივ მამაკაცებს.

მ. 1221^6 გადაცვლილ მესაკუთრის მეუღლეს სიცოცხლეში ერგება: 1) თუ პირდაპირი შთამომავლობა არსებობს, ვაჟების თანაბარი წილი, არა ნაკლები მეოთხედისა და 2) თუ შთამომავლობა არ არსებობს - მთელი მამული,

მ. 1221^7 ქვრივს მემკვიდრეობის უფლება ისპობა გათხოვების შემდეგ.

მუშათა ცხოვრება

ბაქო.

◆ ნავთის შვიდი სამრეწველოს მუშებმა თავის პატრონებს ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს, ხოლო მუშაობა კი არ შეუწყვეტიათ. ორი ფირმის მუშები ადრევე გაიფიცნენ. ამას წინად ოთხი ფირმის გაფიცულ მუშებს მოთხოვნილება დაუკმაყოფილეს, რის შემდეგაც მუშაობა განახლდა.

პეტერბურგი.

◆ 20 ივლისს გაიმართა კრება ბარანოვსკის ქარხნის გაფიცულ მუშებისა. კრებამ ნება დართო გაფიცულ მუშებს წავიდნენ სამუშაოდ სხვა ქარხნებში.

◆ ახალი ლესნერის ქარხნის მუშები კიდევ გაფიცულნი არიან. გაფიცვა 20 დღე გრძელდება. გამართულ კრებაზე გაფიცულებმა დაადგინეს: განაგრძონ გაფიცვა, სანამ მოთხოვნილებას არ დაუკმაყოფილებენ. ნივთიერი დახმარება, რომელიც გაფიცულებს აღმოუჩინეს, 9.000 მან. უდრის.

◆ გაიმართა კრება ბალტიის ქარხნის სამექანიკო განყოფილების გაფიცულ მუშებისა, რომელმაც დაადგინა: განაგრძონ გაფიცვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე. რადგანაც გაფიცულებიდან 9 კაცი დააპატიმრეს, მუშებმა ახალი მოთხოვნილება წარუდგინეს ქარხნის ადმინისტრაციას და მოითხოვენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

◆ გრაფის პანინის მეუღლის სახალხო სახლში განზრახული ლექცია მუშებისათვის, რომელიც ლვოვ-როგაჩევსკის უნდა წაეკითხა შემდეგ თემაზე „ვ. გ. კოროლენკო“ არ მოხდა, რადგანაც ქალაქის უფროსმა ნება არ დართო.

◆ 20 ივლისს გაჩხრიკეს პურის მცხობელთა პროფესიონალური კავშირი; პოლიციამ წაიღო საქმის წიგნები, ამავე ღამეს გასინჯეს კავშირის მოსამსახურენი.

◆ სადღეისო სალაპარაკოდ, პეტერბურგის მუშებს დაზღვის საკითხის გამოსარკვევად კრების მოწვევა აქვთ, რომელზედაც უნდა განხილულ იქნეს დადებითი და უარყოფითი მხარეები მუშათა დაზღვევის არსებულ კანონისა.

◆ ტიგელის ქარხანაში გაფიცვა გათავდა, მუშათა მოთხოვნილება ნაწილობით დაკმაყოფილებულია.

◆ 20 ივლისს მოხდა კრება პროფესიონალურ საზოგადოების „მუშათა სოლიდარობისა“—ლითონის დამამუშავებულ მუშებისა. მოხსენებიდან სჩანს, რომ საზოგადოებას ჰყავს 440 წევრი და აქვს თანხა 1.600 მან. საზოგადოების გამგეობამ ამცნო, რომ ბარის ქარხანაში გაფიცვის გამო გამგეობამ მოლაპარაკება გაჰმართა მუშებთან და ქარხნის ადმინისტრაციასთან და კიდეც გაარიგა საქმე. მუშებისაგან არჩეულმა პირებმა წაიკითხეს მოხსენება, რომლითაც დაასურათეს მუშათა ცხოვრება. აღნიშნული იყო, რომ მოსკოვის ოლქის ქარხნებში მუდამ ირღვევა კანონი მცირე წლოვანთა შრომის დაცვისა, რომლის მიხედვით მცირეწლოვანნი 15 წლამდე სამუშაოზე არ მიიღებიან, ქარხნებში კი ამუშავებენ 12—13 წლის ყმაწვილებს, სახელოსნოებში უსუფთაობაა. გამგეობამ დაადგინა: მიიყვანოს ყოველივე ეს ქარხანათა ინსპექციის ყურამდე. დასასრულ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მოეწყოს მუშათა საკუთარი გაზეთის გამოცემა. საკითხის დაწვრილებით განხილვა შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

◆ ალექსანდროვის მექანიკური ქარხნის ადმინისტრაციამ გაფიცულთა მაგიერ გამოიწერა მოსკოვიდან მუშები. გამოწერილმა მუშებმა, როდესაც გაიგეს ქარხანაში გაფიცვა არისო, უარი სთქვეს წასვლაზე.

◆ საფრენ მანქანათა პირველი ქარხნის მუშებმა უარი სთქვეს ზედმეტი დროის სამუშაოზე. უარის მთქმელ მუშებს ანგარიში გაუსწორეს.

◆ ეკონომიური უთანხმოების გამო „ძველი ბავარიის“ ლუდის ქარხნის მეკასრეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

მოსკოვი.

◆ ქალაქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა მუშების საჩივრის გამო, ყურადღება მიაქცია, რომ ეგოროვის სახარატო სახელოსნოში მუშათა მდგომარეობა ცუდია. ეგოროვს არც კი ჰქონია შემუშავებული კანონის მოთხოვნილებისამებრ შეგირდთა სამსახურის წესი, არ ჰქონია აგრეთვე სახელოსნოს გაღების ნებართვაც. მუშები ძალიან უსუფთაო ადგილას მუშაობდნენ, დასაძინებელი ადგილიც არ ჰქონია სახელოსნოსა და შეგირდები, საცა მოხვდებოდათ, იქ იძინებდნენ. ქალაქის უფროსმა სამი დღით დაატუსაღა უბნის ზედამხედველი სამრეწველო დაწესებულებების უყურადღებობისათვის.

† ლესია უკრაინკა

უკრაინის ლიტერატურამ, უკანასკნელ ხანებში, ბევრი თვალსაჩინო მუშაკი დაჰკარგა. დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა უნიჭიერესი თანამედროვე უკრაინელი ბელეტრისტი მ. კოციუბინსკი. ეხლა კიდევ მოსტაცა სიკვდილმა უკრაინას ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უკრაინაში ცნობილი მგოსანი-ქალი **ლესია უკრაინკა** (უკრაინელი), რომელიც 19 ივლისს დ. სურამში გარდაიცვალა. ასეთი ფსევდონიმით სწერდა ლარისა კოსაჩევა, ასული ოლღა კოსაჩევისა, რომელიც აგრეთვე ცნობილი მწერალი ქალი იყო „ოლენა პჩილკას“ სახელით.

ლ. უკრაინკა უკრაინელი ინტელიგენციის მგოსანი იყო. მისი პოეზია არ იყო ხალხის ზრახვა და სიმღერა; მის ლექსებში გამოიხატა ფიქრი და განწყობილება თანამედროვე უკრაინელ პატრიოტ-ინტელიგენტისა. ზოგიერთს მის ლექსში გატარებულია მწუხარება იდეალისა და სინამდვილის შორის მდებარე უფსკრულის გამო, მის თანამედროვე შთამომავლობის უღონობის გამო და სხვ. „არა სჩანს გზა, ჩვენ მონები ვართ“, სჩივის მგოსანი.

„დიახ, ჩვენ მონანი ვართ, არ არის ქვეყანაზე მონა ჩვენზე უბედური! ფელაჰნი დ პარიები უფრო ბედნიერნი არიან ჩვენზე; მათში გონებას სძინავს, ჩვენში-კი ტიტანიური ცეცხლი ჯერ კიდევ არ გამქრალა, ჩვენ დამბლადაცემულნი ვართ სულით დიდებული, მაგრამ ძალას ვართ მოკლებულნი; არწივის ფრთები შესხმული გვაქვს, მაგრამ მიწაზე მიჯაჭვულნი ვართ, ჩვენ საკუთარი კერაც კი არა გვაქვს ყოველივე ციხის დარაჯისათვის არის ღია. დაფლეთილ მონებს ამაყი სიტყვები: „ჩემი სახლი—ჩემი ტაძარია“ არ შეჰფერის. უკრაინკას ნაწარმოები ერთი ტომად სათაურით: „სიმღერათა ფრთებზე“ უკვე გამოცემულია.

მოწერილი ამბავი

ს. ხეთა (ზუგდიდის მაზრა) ჩვენი სოფლის მამასახლისები ყოველთვის რაღაც არაჩვეულებრივი მადისანი გამოდიან ხოლმე. იშვიათი მამასახლისი გადამდგარა თანამდებობაზე ისე, რომ სულ ცოტა ათასი ორი ათასი მანეთი მაინც საზოგადოების ფული არ შეეჭამა, და, რათქმა უნდა, ეხლახან გაძევებული მამასახლისი, სტეფანე ყორშია, რომელიც ხალხის სურვილის წინააღმდეგ იყო არჩეული ყველა ყოფილ მამასახლისს გაუსწრებდა წინ. რაც შეეძლო, ყოველი საშუალებით ემსახურა საკუთარ თავს. საზოგადოების უსაზღვრო წუხილს ხარხარით უსმენდა. ყოველი მცირედი საქმე დიდის საჩუქრით კეთდებოდა, არც სახელმწიფო საქმე გაუკეთებია თავის დაუსაჩუქრებლად, მაგრამ მის თავგასულობას წინ გადაეღობა მაზრის უფროსი ბ. ჩერნოვი. ჩერნოვის მიერ დანიშნულმა კომისიამ, სხვა მრავალ „კეთილ“ საქმის შორის, ორი ათას მანეთამდე სახელმწიფო ფული გამოუჩხრიკა გაფლანგული. ჩვენ, ხეთელები, მიჩვეული ვართ ათასობით განაფლანგი ფულის გადახდას და დღესაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელ ორი ათასიც ჩვენს სოფელს გადახდება, რომელიც არ არის ღარიბი ნაძირალებით; იგინი მხარს უჭერდნენ ყორშიას და მისი ბოროტმოქმედებით სარგებლობდნენ. ეს მეგობრები დღეს გაქცევების დროსაც მის მშველელად გამოდიან და შეურაცყოფილ საზოგადოების სურვილის, რომ დამნაშავის ნამოქმედარი კარგად იქნეს გამოძიებული, ყოველი ღონით წინ ეღობებიან. **ჯიხა.**

უცხოეთი

ირლანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგენი.

როგორც ჩვენ მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, ირლანდიის ავტონომია უკვე განხორციელების გზას ადგია. ინგლისის მთავრობამ ყოველი ღონის-ძიება იხმარა, ლორდთა პალატის სიჯიუტეც კი ალაგმა, რათა განეხორციელებინა ირლანდიის დიდი ხნის სამართლიანი მოთხოვნილება. მაგრამ ირლანდიის ავტონომიას ბევრი მოწინააღმდეგენი ჰყავს. ეს მოწინააღმდეგენი არიან ეგრედ წოდებული უნიონისტები, რომლებიც პროვინცია ოლსტერს ირლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ ამხედრებენ. ამ ჟამად ოლსტერის დეპუტატი უნიონისტი კარსონი ოლსტერის პროვინციაში მოგზაურობს და აგიტაციას ეწევა ირლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ. ერთს მიტინგზე კარსონს, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: „ადვილად შესაძლებელია, მეფემ, სანამ ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტს ხელს მოაწერდეს, მოახდინოს ახალი არჩევნები, რომ დარწმუნდეს, მართლა თანაუგრძნობს ხალხი ირლანდიის ავტონომიას თუ არა. ჩემთვის სასურველი იქნება, თუ მეფეს ასეთი რჩევა მისცეს. მაგრამ მე ეხლანდელი მინისტრებისა არაფერი მრწამს, ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რა უცერემონიოდ მოექცნენ მეფეს მინისტრები საპარლამენტო ბილლის დამტკიცების დროს. ამიტომ გირჩევთ, არჩევნებს ნუ მოუცდით, წადით და იქადაგეთ. უნდა ვისარგებლოთ იმ მცირედი დროთი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, და შევასრულოთ კოვენანტში აღთქმული დაპირება. ენკენისთვეში აზრადა მაქვს ოლსტერის მთელი საბჭო მოვიწვიო. ჩვენ ჩვენს საკუთარ პარლამენტში მოვახდენთ კრებებს. ამ რიგად, ავტონომიის დამტკიცებამდე ოლსტერის მართვა-გამგეობის ხელში ჩავიგდებთ. ეს, რასაკვირველია, უკანონობა იქნება, ეს ბრძოლის გამოცხადებაა. თუ მთავრობას შეუძლიან, დაე დაგვიშალოს. მაგრამ მთავრობას იმდენი გამბედაობა არ ექნება. მთავრობა ჩვენს ღარიბ და უცნობ მომხრეებსა სდევნის და იმათ კი, ვინც მართლა ახდენს რევოლუციას, ხმას ვერა სცემს.“

ასეთის რიხითა და ზუიმით იქცევიან უნიონისტები. მაგრამ ძალიან საეჭვოა ლელო გაიტანონ. მთავრობამ ორჯელ სთხოვა ნდობის გამოცხადება ხალხს და ხალხმა ორჯელვე ნდობა გამოუცხადა. ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტმა ყველა ინსტანციები გაიარა და უნიონისტების მუქარა ვეღარაფერს უშველის.

საყოველთაო გადასახადის მოწინააღმდეგენი საფრანგეთში.

მთავრობის თანხმობით დეპუტატთა პალატამ და შემდეგ სენატმაც ფორმულა მიიღო რომლის მიხედვითაც 1915 წ. ხარჯთ-აღრიცხვა უნდა გათანაბრდეს საყოველთაო გადასახადის თანდათანი შემოღებით. ამან კონსერვატორებისა და ზომიერთა ბანაკში დიდი პროტესტი გამოიწვია. პრესაში გაჩნდა ღია წერილები. მინისტრ-პრეზიდენტს ბარტუსა და საფინანსო დიუმონის მიმართ. ამ წერილებში პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ საყოველთაო შემოსავლის თანაბარი გადასახადი დიდ ზარალს მოუტანს ვაჭრობასა და მრეწველობასაო. ავტორები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ნაციონალური თავდაცვა ახალ მსხვერპლს ითხოვს, მაგრამ გადიდებულ ხარჯის დასაფარავ წყაროდ ისინი მომჭირნეობას ასახელებენ.

გაზ. „რადიკალი“ მკაცრ პასუხს აძლევს პროტესტანტებს. მომჭირნებით ნამცეცების შეგროვება შეიძლება და ნაციონალურ თავდაცვისათვის კი ასობით არის მილიონები საჭირო. გაზეთი წერილების ავტორებს „სოფისტობას“ და პირმთნეობას სწამებს. ავტორები თხოულობენ გადასახადების თანასწორად განაწილებას, მაგრამ ეს შეუძლებელია თუ პროპორციონალობა არ სუფევსო. პლანტატორები ზანგებისაგან თხოულობენ, რომ მათ ყველამ ერთნაირი ზომის რეჟიმი ჩააბირონ, მაგრამ მოქალაქემ თავის მდგომარეობის შესაფერი უნდა გადაიხადოსო. გლეხს ხანდახან თავის შემოსავლის 35 პროცენტის გადახდა სჭირდება! „რადიკალი“ იმ გარემოებასაც უთითებს, რომ კონსერვატორები ჯარის გაძლიერებას მოითხოვენ, მაგრამ ამით გამოწვეულ ხარჯს კი მუშა ხალხს ახვევენ თავზეო. დასასრულ გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ პალატა, მიუხედავად კულისების გავლენისა, შესძლებს თავის გეგმას განხორციელებას.

დანევი და მისი მემამულენი.

უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტები, რომელნიც სოფლიდან დაბრუნდნენ, ამბობენ, რომ ბულგარეთის პრემიერ-მინისტრად ნამყოფს დანევს მთელი მხარე მოღალატედ სთვლისო. დანევის წინააღმდეგ ბრაზი ისეთია, ამბობს „რეიხს ფოსტის“ კორესპონდენტი, რომ ჰოსპიტალში მწოლარე დაჭრილები იარების შესახვევ ბინტებს იხევდნენ იქ მომუშავე დანევის მეუღლის წინააღმდეგ საპროტესტოდ. მას „მოღალატის“ ცოლს უძახოდნენ და სხვა.

დანევს აბრალებენ, რომ იგი ყოველდღე ინსტრუქციას ღებულობდა რუსეთის ელჩის ნეკლიუდოვისაგან და მის ხელში უბრალო იარაღი იყო.

რუსეთი

აივაზოვი და აკადემია.

აივაზოვის პროფესორად დანიშვნა არც კი სცოდნიათ პეტერბურგის აკადემიის პროფესორებს და როდესაც კი გაუგიათ ძალიან სწყენიათ. სუყველაზე მეტად ამხედრებულა აკადემიის რექტორი ეპისკოპოსი ანასტასი, რომელსაც კარგად სცოდნია თუ როგორ მიიღო სამეცნიერო ხარისხი აივაზოვმა ყაზანის აკადემიაში.

უწ. სინოდი და ბაპტისტები.

რადგანაც ბოლოს დროს, სამხედრო სამსახურში წაყვანილი ბაპტისტები უარს ამბობენ ფიცისა და იარაღის მიღებაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს აღძრას საკითხი ბაპტისტების ჯარზე უარყოფითი გავლენის შესახებ და ბაპტისტების სეკტის დამტკიცების შეუძლებლობის შესახებ. ბაპტისტების ჯარზე უარყოფითი გავლენის შესახებ მოახსენეს სინოდს საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმაც და თურქესტანის ყოფილმა ეპისკოპოსმა და ეხლა თავრიდის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (აბაშიძე). ბაპტიზმის გამორკვევა უწ. სინოდმა დეკ. ვოსტორგოვს მიანდო.

სხვა და სხვა ამბავი

ტუსაღ ბოქაულის გაქცევა.

ხერსონესის ბოქაულის თანაშემწემ ლინკევიჩმა სახელმწიფო ფული გაფლანგა, რისთვისაც სამსახურიდან დაითხოვეს და დაატუსაღეს. როდესაც ლინკევიჩი ციხეში მიჰყავდათ, მას დარაჯისათვის მარილი შეუყრია თვალებში და გაქცეულა. სანამ დარაჯი გონს მოვიდოდა, ლინკევიჩი კიდეც მიმალულა.

სოც.-რევ. ბინის აღმოჩენა.

კიევში, ქალაქს გარეთ, კარავაევის აგარაკში ჟანდარმებმა აღმოაჩინეს სოც.-რევ. კიევის ჯგუფის ბინა. კიევის პოლიტეხნიკუმის სტუდენტის აზარკევიჩისა და მასწავლებელ ქალის ვიშინსკის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ს.-რ. წიგნაკები და პროკლამაციები. ბინაზე უპოვიათ „საპასპორტო ბიურო“, სადაც ბეჭდებისა და პასპორტის ქაღალდებისა აურაცხელი რიცხვი იყო. დაჭერილია აზარკევიჩ ვიშინსკის ქალი, აგრეთვე დააპატიმრეს ვინმე ილშინსკის ქალი, რომელსაც აბრალებენ „საპასპორტო ბიუროს“ გამგეობას. ამის გამო კიევში მრავალი ჩხრეკა მოუხდენიათ.

ყუმბარების გაყინვა.

პარიზის ლაბორატორიის დირექტორმა კლინგმა გამოიგონა ისეთი საშუალება, რომლითაც შეიძლება ყუმბარის უვნებლად გადაქცევა. კლინგი ჰყინავს ყუმბარას, რომელსაც უწოდებს „ბომბ გლასს“ (გაყინული ყუმბარა). გოგირდის სიმჟავისა და ეთერის შეწყობით მაკედონელი იარაღი გაყინულია 85%-მდე, რის შემდეგაც ყუმბარის აფეთქება შეუძლებელი ხდება. მეცნიერებათა აკადემიაში გამოსცადეს კლინგის აღმოჩენა

იოანე მრისხანეს სურათის აღდგენა.

ტრეტიაკოვის გალერეია მოელის მხატვარ დ. ბოგოსლოვსკის, რომელსაც აქვს მინდობილი „იოანე მრისხანე და მისი შვილის“ სურათის აღდგენა. ეს სურათი, როგორც ვიცით, ვინმე ბალაშოვმა დასჭრა დანით. ამბობენ, თვით სურათის დამხატავი ცნობილი ი. რეპინი მივა მოსკოვში აღდგენილის დასათვალიერებლადაო.

როტშილდისაგან 30,000 მანეთის მოთხოვნა.

ლონდონში ვინმე გერმანელ კლარკს გაუგზავნია წერილი როტშილდისათვის, რომელშიაც მოკვლის მუქარით 30.000 მან. სთხოვდა. კლარკი პოლიციას შეუპყრია.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

24 ივლისი.

ბუქარესტი. დილისათვის დანიშნულია უკანასკნელი თათბირი სერბიისა და ბულგარეთის წარმომადგენლებისა.

დის, არამედ მხოლოდ თეორიულად შეუთვისებია, რომ ეროვნული შევიწროვება შეიძლება არსებობდეს. რუსეთის სოციალ-დემოკრატების ჩვენმა უნიჭო მიმდევრებმა უკრიტიკოდ მიიღეს ის, რაც რუსეთში გაბატონებული ერის ფსიხიკამ წარმოშობა და გაიმსჭვალნენ ისეთსავე აზროვნებით, რანაირითაც გაბატონებული ერის წარმომადგენლები არიან გაჟღენთილნი. ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა იმავე თვალსაზრისით დაუწყეს ცქერა თავის სამშობლოს და მის პოლიტიკურ მომავალს, რანაირითაც რუსეთის სოციალ-დემოკრატები უცქეროდნენ. იმათ ეროვნული მისწრაფებანი პატარა ერისა ნაციონალიზმად მონათლეს და ჩვენებმაც მათთან ერთად ბრმად გაიმეორეს, დიაღ, მოთხოვნა საქართველოს ავტონომიისა ნაციონალიზმიაო. რუსეთის სოციალ დემოკრატების პოზიცია იყო რუსული ნაციონალისტური პოზიცია და ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა ამ რუსული ნაციონალიზმით ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ ეროვნულ აღორძინების იდეას. ეს იმდენად არანორმალური მდგომარეობაა, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ასეც მოხდა. როგორც ჩვენი წერილების პირველი თავიდან დაინახავდა მკითხველი, ციმბირი, პოლონეთი და უკრაინა სულ სხვანაირ გზას დაადგა და რუსული ნაციონალიზმის თვალსაზრისით არ გააშუქა თავისი მომავალი. მხოლოდ ჩვენში ჯიუტობენ ძველებურად და ჰგონიათ დიდს პროგრესიულ, დიდს ინტერნაციონალურ საქმეს აკეთებენ. ავიწყდებათ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატების აზროვნება ამ შემთხვევაში ძირიან - ფესვიანად ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს, რომ თვითოეულს ერს სრული საშუალება უნდა მიეცეს პოლიტიკურ განვითარებისა.

ასეთი უარყოფითი ხასიათისა იყო პროგრამა სოციალ-დემოკრატებისა არა მარტო რუსეთში, არამედ ავსტრიაშიაც კი, სადაც სხვა და სხვა ერთა არსებობა საკითხის სულ სხვანაირ გადაწყვეტას მოითხოვდა. 1888—89 წლების ჰაინფელდისა და 1892 წლის ვენის პარტეიტაგებზე შემუშავდა პროგრამები, რომლებშიაც მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგია ეროვნული მონობისა ისე, როგორც ყველა სხვაგვარ მონობისა. არც ერთი პრაქტიკული ზომა ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად მაშინ არ მიუღიათ. მაგრამ მალე ულმობელმა სინამდვილემ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია აიძულა უფრო მეტის ყურადღებით მოჰქცეოდა ეროვნულს საკითხს და გამოეძებნა კონკრეტული ზომა ეროვნებათა განვითარების უზრუნველყოფისა. ამ მხრით უფრო საინტერესოა ბრიუნნის პარტეიტაგი, რომელიც 1899 წელს შეიკრიბა. პარტეიტაგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ პლატონიურ ფრაზებს, არამედ კონკრეტულ წინადადებას, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ. მაგრამ საუბედუროდ სწორედ ასეთი დადგენილებანი და რეზოლიუციები დაავიწყდებათ ხოლმე ჩვენებურ სოც.-დემოკრატებს, რომლებსაც გულ-უბრყვილოდ ჰგონიათ, რომ, მათ გამამტყუნებელ რეზოლიუციების მივიწყებით რამე გაკეთდება აი, რანაირი რეზოლიუცია გამოიტანა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ ბრიუნნის პარტეიტაგზე: 1) ავსტრია ეროვნებათა დემოკრატიულ კავშირის სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს; 2) ისტორიულ ტერიტორიების ადგილას უნდა შეიქმნას ეროვნულად შეზღუდული ადმინისტრატიული თვითმმართველი ერთეულები, რომლებშიაც კანონმდებლობა და მართვა-გამგეობა საყოველთაო საარჩევნო უფლებით არჩეულ ეროვნული პარლამენტის ხელში უნდა იყოს; 3) ერთი და იმავე ერის თვითმმართველობანი შეადგენენ ეროვნულ კავშირს, რომელიც თავის ეროვნულ საქმეებს სრულიად ავტონომიურად აწყვიტავს, 4) ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საიმპერიო კანონმდებლობით; 5) ჩვენ არავითარი პრივილეგიები არა გვწამს და ამიტომ უარვყოფთ სახელმწიფო ენას. საიმპერიო პარლამენტი განსაზღვრავს, რამდენად საჭიროა საურთიერთო დამოკიდებულებისათვის საერთო ენა“.

ასეთია ავსტრიის სოციალ დემოკრატიის რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული სამი დებულება: 1) ტერიტორიას რომ ვამბობთ, უნდა ვიგულისხმოთ არა ისტორიული ტერიტორია, არამედ მხოლოდ ის, რომელზედაც ფაქტიურად მოსახლეობს ერი, 2) თუ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მთავარ ერის გარდა მოსახლეობს სხვა რომელიმე ერიც, რომელიც უმცირესობას შეადგენს და თავისი სიმცირით ვერ შეუძლიან დამოუკიდებელი ტერიტორიალური ერთეული შეჰქმნას, ასეთი ერის უფლებანი უზრუნველყოფილი უნდა იქმნას საიმპერიო პარლამენტის მიერ, 3) ავტონომიური ერთეული აღჭურვილია არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ საკანონმდებლო ფუნქციებითაც.

როგორც ჰხედავთ, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა სრულიად არა ჰგავს იმას, რაც ჩვეულებრივად გვესმის ხოლმე ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებისაგან. ამ რიგად შეიცვალა აზროვნება იქ, სადაც ცხოვრების მაგალითები უქმად არ იკარგება და ბრმად არ ემორჩილებიან ერთხელ შეთვისებულ დოგმებს.

ჩვენში ეროვნულმა საკითხმა დიდი ევოლიუცია განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატების ადეპტები, ისევ ძველებურად ნაციონალიზმადა სთვლიან ყოველგვარ ეროვნულ-პოლიტიკურ მოთხოვნას. ქართულ პრესაში აღნიშნული იყო ეს ევოლუცია. სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ავტორებმა, რომლებიც წინად პირდაპირ უარჰყოფდნენ ეროვნულ ინტერესს, წამოაყენეს ეროვნული პროგრამები, რომლებიც ოფიციალურად არ არის მიღებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ.

ყველა ამ პროექტებს რომ თავი მოუყაროთ და საზოგადოდ განვიხილოთ, დავინახავთ, რომ დასაბამი ამ პროექტებისა იმყოფება იმ შრომებში, რომლებიც დიდიხანია გამოქვეყნდა ევროპაში. ეროვნულ საკითხის გადაწყვეტილებაში ერთმანეთს ებრძვის რამდენიმე მიმართულება. ზოგიერთთა წარმოდგენით ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა აღიარება ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიისა, ზოგი აღიარებს ეროვნულ ავტონომიას, ზოგი კი კმაყოფილდება კულტურული ავტონომიით.

განვიხილოთ თვითოეული მათგანი ცალ-ცალკე, რომ უფრო ნათელი გაჰხდეს ჩვენთვის, რომელი პროგრამა უფრო მართალია და რომელი უფრო შეეფერება ჩვენისთანა პირობებში მყოფ ერს.

არ ჯ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

სოფია. მაკედონიიდან გამოქცეულ ბულგარელების წარჩინებულთა კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც მიენდო: დაიწყოს მოლაპარაკება მაჰმადიანების, ებრაელების და კუცოვლახების ორგანიზაციებთან მაკედონიაში საავტონომიო წესების შემოღების შესახებ, რომლითაც მიღწეული იქნება მაკედონიაში ყველა ერების თავისუფლად განვითარება. ამ მიზნით მალე საზღვარგარედ გაემგზავრება სპეციალური მაკედონელთა კომისია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ საბერძნეთის პატრიარქმა გადიხადა პანაშვიდი, ვითომც მოკლულ ეპისკოპოს დორიანის სულის მოსახსენებლად. ნამდვილად კი ეპისკოპოსი დორიანი, ბერძენთა ბრბოების შეკრებისათვის, დაპატიმრებულია ეტროპოლის მონასტერში.

ბუქარესტი. მეომარ მოკავშირეთა შორის ზავი შეიკრა.

სოფია. ბერძენთა ოფიციალ ცნობის გამო ბულგარეთის მთავარი ჯარის სადგომი იტყობინება, რომ ბერძნების წინააღმდეგ მომქმედი ჯარის რიცხვი არაოდეს არ აღემატებოდა 30,000 კაცს. შეუძლებელია, რომ ბულგარელებს დაეკარგათ 10 ათასი ტყვეებით და 30,000 მოკლული. შეუძლებელია რომ ბულგარელების დანაკარგის სიმცირეს ამტკიცებდეს ის, რომ ბულგარელებმა განდევნეს ბერძნები მესონიდან, ნევროკოპიდან და პესჩევიდან და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენეს ბერძნები. ბერძნები არასოდეს არ მისულან ჯუმაიმდის. ქალაქები დრამა, კავალა, ქსანტი, დედეაგაჩი, პორტ-ლაგოსი, მარონი, მაკრი და გიუმიულჯინა არ იყვნენ ბულგარელებისაგან დაცული და აიღეს არა ბერძნების ჯარმა, არამედ ბერძენთა ბრბოებმა. გაწყვეტილ ბულგარელთა რიცხვი ბერძნებისაგან აღნიშნული შეიძლება მივიღოთ მაშინ თუ გაწყვეტილ ჯარის კაცთა რიცხვს მივუმატებთ გაწყვეტილ უიარაღო მცხოვრებთა რიცხვს, რომელიც ბევრად მეტია გაწყვეტილ ჯარის კაცის რიცხვზე ბულგარეთის მთავარი შტაბი მხედველობაში იღებს ბერძნების განცხადებას, ვითომც მათ 20,000 ბულგარელი წაეყვანოს ტყვედ. თუ ტყვეების გაცვლის დროს ბერძნები არ წარმოადგენენ 20.000 კაცს. ბულგარელებს საბაბი ექნებათ იფიქრონ, რომ ბერძნებმა ტყვედ წაყვანილნი გასწყვიტეს.

სოფია. ხმები დანევის შეპყრობისა და შეპყრობის ცრუ მიზეზების შესახებ სიმართლეს მოკლებულნი არიან.

ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ ოსმალთა ბულგარეთის სამზღვარზე გადმოსვლა აღელვებთ ოსმალელებს, ბულგარელებისაგ ნ ტყვედ წამოყვანით, რომელთა რიცხვი 100,000 კაცს უდრის. ძველ ზაგორაში ტყვედ-წამოყვანილ ოსმალებმა მოინდომეს მოახლოებულ ოსმალეთის ჯართან შეერთება. თითონ ზაგორაში, როდესაც ტყვედ-წამოყვანილებმა გაიგონეს სროლა, ეგონათ ოსმალები მოვიდნენო და გაექანენ იარაღის საწყობებისაკენ ასაღებად. მოხდა შეტაკება. რამდენიმე ოსმალო მოჰკლეს და დასჭრეს, დაიჭრნენ აგრეთვე ბულგარელებიც. ტყვედ წამოყვანილ ოსმალთა შორის პოლიტიკური უთანხმოება არსებობს. შესდგა ორი ჯგუფი. ზოგიერთ ადგილას მათ შორის დიდი სიძულვილი არსებობს. სოფიაში შეფფიკ-ბეიმ, რომელიც აღმოსავლეთის სექტორის უფროსის ადიუტანტი იყო ადრიანოპოლში, ლაპარაკის დროს მოქმედებით შეურაცყო მისი უფროსად ნამყოფი პოლიტიკურ თემაზე ლაპარაკის დროს. ამის გამო ბულგარეთის მთავრობამ ოსმალები ზედამხედველობის ქვეშ მისცა და ნებას არ აძლევს ბინიდან გარედ გამოვიდნენ. რუმინიის ჯარმა, რომელიც ჩრდილო ბულგარეთში შემოვიდა ბევრი ტყვედ წამოყვანილი ოსმალო გაანთავისუფლა.

ათინა. მოვიდა მე-4 ტრანსპორტი, რომელმაც ბულგარებისაგან წანართმევი მოიტანა. იგი შესდგება: 36 ზარბაზანისაგან და 6 მსწრაფლ მსროლელ იარაღისაგან; 25 ფურები თოფებითა, დროშისაგან. პარლამენტის კომისია, რომელიც ბულგართა სიმხეცეს იკვლევს, ქსანტიდან იტყობინება, რომ ბულგარელები წავიდნენ ქალაქიდან. სულ ქსანტში და მის მიდამოებში დახოცილია 219 კაცი. 163 კაცის ბედი, რომელნიც ბულგარელებმა წაიყვანეს არ იციან.

რომი ტრიბუნა ეკამათება საფრანგეთის პრესას და უარჰყოფს განზრახვას, ვითომც იტალიას უნდოდეს ბულგარეთისათვის კავალის დატოვება. იტალია მიემხრო რუსეთის რჩევას მოკავშირეთადმი, რომ ამ საკითხის მიუდგომლად გადაწყვეტა მიანდოს სახელმწიფოთა განხილვას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იტალიას ჰსურს არ სარგებლოს საბერძნეთი მოგებით.

სოფია. გუშინ ისმოდა სროლა ადრიანოპოლისაკენ და კუჩუკავაკისაკენ. ოსმალებმა დასტოვეს სადგომი მუსტაფა-ფაშის აღმოსავლეთით. უთუოდ ამას კავშირი აქვს ოსმალების გიუმიულჯისაკენ მოძრაობას. გამოქცეულები ჰმოწმობენ, რომ ოსმალები და ბერძნები განაგრძობენ განსაცვიფრებელ სიმხეცეს ფრაკიაში, რომლის მოსპობაც მათ ჰსურთ.

ბუქარესტი. ავსტრიის და ინგლისის ელჩთა სიტყვიერმა განცხადებამ შესახებ კავალის საკითხის ხელახლად განხილვისამ ძალიან ცუდად იმოქმედეს საბერძნეთისა და სერბიის წარმომადგენლებზე, რომელთაც სთქვეს, რომ ომის წინ იგინი თანახმანი იყვნენ სახელმწიფოთა შუამავლობაზე, რომელთაც უპასუხეს რჩევით შეთანხმებულიყვნენ თითონ სხვისაგან დამოუკიდებლად, ეხლა კი, როდესაც ბერძნებმა და სერბიელებმა ამდენი შეჰსწირეს ამ საკითხის გადაწყვეტისათვის სახელმწიფოთ უფლება არ აქვთ ჩაერიონ ზავის პირობაში.

გერმანიის ელჩმა გაჰმართა სადილი ბულგარეთის წარმომადგენელთა პატივის საცემლად. დაესწრენ თითქმის ყველა ელჩები.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო გადაჭრით უარჰყოფს სტამბოლის ცნობას, ვითომც ძველ ზაგორაში ბულგარელებმა სცემეს 3.000 ტყვედ წამოყვანილ ოსმალოს.

ბუქარესტი. სამშვიდობო მოლაპარაკების კრება 4 საათზე გაიხსნა. წინადღის ოქმის დამტკიცების შემდეგ ვენიზელოსმა წაიკითხა მეფე კონსტანტინეს დეპეშა, რომლითაც მეფე იტყობინება, რომ ბულგარეთის შიკრიკებმა აცნობეს ბერძნების მოწინავე ჯარს, დღეს შეიძლება ომი განახლდესო. ტონჩევმა და ფიჩევმა განაცხადეს, რომ მათ არაფერი არ იციან ამის შესახებ, და ეს აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ შეცდომით იქნება გადაცემული საათი დროებითი ზავის განახლების დაწყებისა. თავმჯდომარე მაიორესკუმ წაიკითხა ამერიკის შეერთებულ შტატების ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ ზავის პირობაში იქნეს შეტანილი ისეთი მუხლები, რომლის ძალითაც მიენიჭოს ახლად შემოერთებულ ადგილების მცხოვრებთ მოქალაქობრივი და სარწმუნოებრივი თავისუფლება. მაიორესკუმ განმარტა, რომ ასეთი თავისუფლება მიენიჭებათ ბალკანეთის ყველა სახელმწიფოში არსებული კანონების ძალით. წარმომადგენელთა მეთაურნი დაეთანხმენ, რომ პირობაში განსაკუთრებული თავის შეტანა საჭირო არ არის. დასასრულ მაიორესკუმ მიჰმართა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელნიც მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ მოწოდებით, გაათავონ მოლაპარაკება, რადგანაც აუცილებლივ საჭიროა, ხვალიდან კრება შეუდგეს კონკრეტ საკითხების განხილვას. დრო, რომელიც დარჩა დროებითი ზავის გათავებამდის, არ იძლევა ნებას საქმის გადადებისათვის. შემდეგი კრება ხვალისათვის დაინიშნა. დილით მაიორესკუ ელაპარაკა წარმომადგენელთა მეთაურებს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

24 ივლისი.

უცხოეთი.

ბერლინი. კრუპის ქარხანაში ბოროტ-მოქმედებისათვის დასჯილთ საჩივარი გადააქვთ უმაღლეს სასამართლოში.

ლონდონი. სარეეში ბოლდინგენის ვილის კიბე და კარები დაანგრია აფეთქებულმა ყუმბარამ. ჩრდილოეთ დევსნაში ცეცხლი წაეკიდა ლინტონის სახლს. ორივე ამბავი სუფრაჟისტკების ოინები არის.

სიმლა. ოფიციალად იტყობინებიან, რომ კაუნპურში სერიოზული ამბოხება დაიწყო, რომელიც გამოიწვია გაზეთებში მოთავსებულმა, მაჰმადიანთა შეურაცმყოფელმა სტატიებმა. გაიმართა მიტინგი, რომელზედაც 20,000 კაცი იყო. პოლიციამ, რომელსაც ქვა სეტყვისებურად დაუშინეს, იარაღი ისროლა. მოჰკლეს ერთი, დასჭრეს 24 პოლიციელი. დაჭერილია 131 კაცი.

მილანი. გაფიცვა გრძელდება. საღამოს, ქალაქის მიდამოებში გაფიცულთ უნდოდათ ხელი შეეშალათ მუშაობისათვის და ქუჩაში მოძრაობისათვის. პოლიციამ ჯარის დახმარებით წესიერება აღადგინა. მოხდა შეტაკება. რამოდენიმე დაჭრილი არის, დაიჭირეს რამოდენიმე.

მექინესი. მაროკკოელები თავს დაეცენ კოლოდელის დაბრუნებულ რაზმს. 14 მოჰკლეს და 10 დასჭრეს.

შანჰაი. ადმირალი ცზენი დაინიშნა შანჰაის გუბერნატორად. სუნიატსენი გაიქცა ფორმოზაში.

ბრიუსელი. დაიკეტა საერთაშორისო კუს ავადმყოფობის გამომკვლევი კრება.

ლონდონი. გაიხსნა საერთაშორისო ექიმთა კრება. მეფის სახელით კრებას მიესალმა პრინცი არტურ კონაუტელი, მთავრობის სახელით—გრეი. კრებას დაესწრო 7.000 კაცი.

იოჰანესბურგი. მალული დინამიტის საწყობები აფეთქდა. დაიღუპა 16 კაცი.

რუსეთი

პეტერბურგი. გატჩინოდან ქუთაისს წაასვენეს უდროოდ დაღუპული მხედარი-მფრინავი ცომაია. პროცესიას თავს დაჰფრენდნენ საფრენი მანქანებით მხედრები. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი გამგეობა იტყობინება, რომ არხანგელსკში გაიხსნა რადით დეპეშების გადამცემ-მიმღები სადგური.

კრონშტადტი. მათი უდიდებულესობისა და დიდ ძალი ხალხის თანადასწრებით აკურთხეს ძეგლი რუსეთ იაპონიის ომში დაღუპულ ადმირალ მაკაროვისა.

ცარიცინი. მდინარე ვოლგის ნაპირი 80 საჟენის სიგრძეზე ჩაწვა.

მინსკი. სამაზრო კრებამ 7 გლეხს, რომელთაც კონკოვიჩის მამულში მუდმივი თვითნებობა ბრალდებოდათ, სამ-სამი თვის ციხე გადაუწყვიტა.

ადესა. უმაღლესი მანიფესტის ძალით საოლქო სასამართლომ მოსპო საქმე სიონის კავშირისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 30 მოწაფე სხვა და სხვა სასწავლებლისა.

პოლტავა. საოლქო სასამართლომ ბრალდების დამამტკიცებელ საბუთის უქონლობის გამო მოსპო ვარუნ-სეკრეტის საქმე.

სასნოვიცი. გლეხებმა ველზე იპოვეს ყუთი რომელშიც აღმოჩნდა ვერცხლის ფული წარწერით „ანტონიოს აუგუსტუს პიუს“ (ანტონიუს აუგუსტუს პირველი).

ჰელსინგფორსი. პოლიციის დარაჯის თანხლებით წაიყვანეს პეტერბურგში ნიშლადტის მაგისტრატის რატმანი ბოლომი, რომელსად პეტერბურგის საოლქო სასამართლომ ციხე მიუსაჯა თანასწორ უფლებათა კანონის დარღვევისათვის. სეიმში აქამდის არჩეულია (?) სოციალ-დემოკრატები 132.361, ძველი თაობის ფინები 70.389, ახალგაზრდა ფინები 46.034, შვედები 41,987, აგრარიები 23,486, ქრისტიანე მუშები 2,177.

პეტერბურგი. ნევაზე, უსტიშორში დაიწვა ხე-ტყის ქარხანა ვასილიევისა, ზარალი 200.000 მანეთისა.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩემს მცირე შენიშვნას თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ.

საზოგადოდ ქართველთა შორის ხშირად შეხვდებით ძლიერი ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანს, მაგრამ სამწუხაროდ, ნივთიერად ხელმოკლეობისა გამო, მათ არ შეუძლიანთ თავის ბუნებით მაღალ ნიჭის წესიერად გავარჯიშება, და თვისი ცოდნის საქვეყნოდ გამომზევება.

აქ მე არ მინდა ბევრის ლათაიებით და ვრცელის ეპისტოლით პატივცემული მკითხველ საზოგადოებას თავი შევაწყინო, მხოლოდ ერთის ფრიად სამაგალითო ნიჭის მექონე კაცის გაცნობა მსურს მკითხველისათვის. ერთი ბუნებით ნიჭიერი ქართველი ფრიად შესანიშნავი ტიპიური მხატვარი, რომელსაც [illegible] ძალიან კარგად ვიცნობ, რომლის სამხატვრო ხელოვნებასაც განუსაზღვრელს აღტაცებაში მოვყევარ, და დიდს შთაბეჭდილებასაც ახდენს იგი ჩემზე.

ეს გახლავთ მუდმივ მცხოვრები ჩვენის დედა ქალაქ ტფილისისა, გრიგოლ ზაზიაშვილი. ქალაქის დუქან მაღაზიების „ვივესკების“ მხატვარი. რომელსაც თავის დღეში არცერთი რომლისამე სასწავლებლის კარი, თვალითაც არ უნახავს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაღალ ნიჭს წარმოადგენს მისი სამაგალითო მხატვრობითი ხელოვნება; ასე რომ ყოველი მისი ცოცხალი ტიპიური მხატვრობა, მხილველის თვალს განცვიფრებაში მოიყვანს.

თუმცა, რასაკვირველია, დიდად დასაფასებელია ხელოვნების მოყვარულთაგან ამ კაცის ბუნებითი ნიჭი და ხელოვნება, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ჟამად მის ნაშრომს ღირსეული გასავალი არა აქვს, უფრო კი მგონი იმ მიზეზით, რომ ზაზიაშვილს არავითარი სწავლა არა აქვს მიღებული.

ვგონებ, ბევრს უნდა ენახებოდეს, ამ მხატვრის ნახელოვნარი ტიპიური სურათები, თვით ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგ. მუზეუმში, რომელიც ამ ერთი თუ ორის წლის წინად, ისე იაფად შეიძინეს ჩვენგან დიდად პატივსაცემელთ და მოღვაწეთ ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა, და ალექსანდრე სარაჯიშვილმა. ამ ჟამად ზაზიაშვილს დაუხატავს განსვენებულის ჩვენი პოეტის ილია ჭავჭავაძის სურათი, საკმაო დიდის ფორმატისა, სიმაღლით 2 არშინი, ხოლო სიგანით 1 ნახ. არშინისა, მშვენიერი რამ სურათია, და ნამდვილი განსვენებულის ცოცხალი სახე. ღირსია იგი ყოველი ქართველის ყურადღებისა. დიდის გულმოდგინებით ვურჩევ, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, ილიას ხსოვნისათვის შეიძინონ ეს ძვირფასი სურათი, ანუ სათავად-აზნაურო ბანკის გამგეთ, თავიანთ კაბინეტის დასამშვენებლად, რითაც დიდ სამადლო საქმეს იზამენ, რომ სურათის ავტორს ნივთიერად ძალზე ხელმოკლე მხატვარს თავის დაგვარად ღირსეულად დააკმაყოფილებენ. ამ ჟამად განსვენებულის ილიას ეს შესანიშნავი სურათი, ჩემთან აქვს დროებით მხატვარ ზაზიაშვილს მობარებული, და 26 ამ თვეს გადატანილ იქნება დროებით, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელს საზოგადოების კანცელარიაში, მხატვრულ ხელოვნების მოყვარულთა საჩვენებლად და საყურადღებოდ.

იასონ ცაციშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჟუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით)

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4. **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3 **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 4 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

მცხეთაში № 65, **საგარეუბ.** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, ბ **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 06, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჩუღურეთის შესახვ. № 5, 1-ლ კომერც. სასწავლებლის ზემოდ, ეკატერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ: **სიმწიფის მოწმობაზე**, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ყველა სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწაფის**; საკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მისამართი: მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღამოთი 5—7 საათ. 1400

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან
ავლაბრისა— კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა— ვორონცოვის ქ. 56.
კუკიისა— ჩერქეზიშვილისა. 1—18.
დიდუბისა— საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ე ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23
10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტ.ლ. № 935).

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-თხილოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადება ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ექიმი ა. შ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5. სახ. მაქარაშვილისა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

მემ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

გალი ედემი ფუნიკულერზე, ყოველ დღე დაუკრავს აზიური ორკესტრი აზიურსა და ევროპიულ ნაწარმოებთ ნაშუადღევის 2 ს. ღამის 12 ს.-მდე, ხოლო კვირა-უქმე დღეს დილის 12 საათიდან. ხალხისათვის გამართულია ტალავერი. ბუფეტში მოიპოვება როგორც რუსეთის ისე საზღვარგარეთის სასმელები. სამზარეულო ამზადებს აზიურსა და ევროპიულ საჭმელებს, გამოცდილი მზარეულის ყურის გდებით. ფასები ძალიან იაფია. 507
პატივისცემით **ა. მ. ფარაჯანიძე.**

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი საყმაწვილო წიგნები:

ამოდის ნათდება და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.	კეთილი ძაღლი	20 ,,
ალი, ლომაურისა	10 ,,	კრილოვის არაკები თარგ. აკაკისა	50 ,,
,,ან'' ლ აღნიაშვილისა	10 ,,	კაკო ყაჩაღი ი. ჭავჭავაძისა	5 ,,
ბუს თავგადასავალი, სენტ-ილერისა	20 ,,	კიკოლას ნაამბობი აკაკისა	20 ,,
ბავშვობა და სიყრმე ტოლსტოისა თარგმანი ნ. ნაკაშიძისა	60 ,,	ლედი ჯენ, ჯემისონის	35 ,,
,,გან'' აღნიაშვილისა	10 ,,	ლაზარილიო ტორმესელი	10 ,,
გულივერის მოგზაურობა სვიფტისა	30 ,,	მათიკო და მისი გიშერა	5 ,,
დედა, ანდერსენისა	8 ,,	მელიას თავგადასავალი	25 ,,
დედა-შვილის თავგადასავალი დე-ამიჩისა	15 ,,	მწვანე სამეფო, ლუნკევიჩისა თარგმ. ნ. კალანდაძისა	20 ,,
დიმიტრი თავდადებული ი. ჭავჭავაძისა	7 ,,	მტრედი	10 ,,
,,დონ'' აღნიაშვილისა	10 ,,	მოწაფის დღიური	80 ,,
,,ენ'' ,,	10 ,,	მოთხრობები, გამოც. ,,ცისკრისა''.	5 ,,
,,ვინ'' ,,	15 ,,	მეფე ლამზა, როსტომაშვილისა	7 ,,
,,ზენ'' ,,	20 ,,	მაგდანას ლურჯა ეკ. გაბაშვილისა.	5 ,,
,,თან'' ,,	20 ,,	მამის ერთგული	15 ,,
იგავ-არაკნი ალ. მირიანაშვილისა	75 ,,	ნელო და პატრაში	10 ,,
		ნათელა, აკაკისა	20 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“, ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილობა ყოველ მხრივ და წესიერად. კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.